№ 132

ხუთშაბათი, 23 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 132

ხუთშაბათი, 23 ივნისი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**„ივერიის“ რედაქციისაგან:**

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის სვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში, 26 ივნისს, კვირას, დილის 10 საათზედ, მოხდება საგანგებო კრება

**ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა**

განსახილველი საგნები:

1, წარსულ სათეატრო წლის ანგარიში;

2, მმართველობის წევრების ამორჩევა, გასულ წევრების ნაცვლად და

3, საზოგადოების წევრების ამორჩევა.

(3—2)

ტფილისი, 23 ივნისს

—

ახლად დაარსებულ სამეურნეო სამინისტროს განზრახვა აქვს გამართოს ხოლმე რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილს გამოფენა შინ ნაწარმოების საგნებისა.

მინისტრი მეურნეობისა, როგორც ეტყობა, დიდის თანაგრძნობით ეპყრობა შინაურ ხელმოსაქმეთ, და ზოგან საჭირო კრედიტიც დაუნიშნავს ამ საქმის წარმატებისთვის.

ახალის დაწესებულების მეთაურმა უთუოდ კარგად იცის, რომ შინაურ ხელსაქმობას ხალხის კეთილდღეობისათვის ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს; ამ შემთხვევაში ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სიამოვნებით მივეგებნეთ ბ-ნის მინისტრის აზრს და აღვნიშნოთ ამ მხრივ ზოგიერთი ჩვენი საჭიროება.

პირველად უნდა ვსთქვათ, რომ იქ, სადაც შინა ხელსაქმობა მართო ა გავრცელებულია და ნახელოვნებიც ხეირიანია, ყოველგან ხალხი სულ მოთქმულია და გმაყოფილი ნივთიერად. ასეა შვეიცარიასა, ჰოლანდიასა, ბელგიაში და სხვაგან. შვეიცარიის ოჯახში გაკეთებულის საათებითა და ყველით მოჭარბებულია მთელი ევროპა. ამ ბედნიერს ქვეყანაში, სადაც ბუნებაც მშვენიერია და ერიც დიდი ხანია თავისუფალია, ყოველს წევრს ოჯახისას საკუთარი საქმე აქვს და უეჭველად რაიმე სიმდიდრეს სძენს თავისს ოჯახს.

ამიტომაც არის, რომ შვეიცარიის სოფლებში მოგზაურს გული გაუნათლდება, რადესაც დააკვირდება ამ პატარა ერის ყოფა-ცხოვრებას.

სამაგიეროდ გადავავლოთ თვალი ჩვენებურ ქართულ ოჯახს, სადაც თითქმის ყველა წევრი სახლობისა მთელს დღე და ღამეს უსაქმურად ატარებს და ერთად ერთი იმისი ზრუნვა სმა-ჭამა და ქეიფია. ჩვენ, აქ გლეხის ოჯახის შესახებ არა გვაქვს საუბერი, რადგანაც ძვირად მოხდება, რომ გლეხის სახლში ვინმე უსაქმურად დარჩეს. რასაკვირველია, თავად-აზნაურთა ოჯახიც მოინახება, სადაც ხელსაქმობა იციან და უქმად დროს არა ჰკარგვენ. მაგრამ ამისთანა რჩეული და ღვთისაგან დალოცვილი ოჯახი ხომ ცოტაა, უმრავლესობა-კი ამ წოდებისა 24 საათის განმავლობაში სრულიად უსაქმოდ არის და თუ არაფერს ახდენს, გაკეთებით ხომ არას აკეთებს და არა!

აი ამ რიგის ხალხისათვის იქნება ჭეშმარიტი ბედნიერება, რომ მიეცემოდეს ღონისძიება ისწავლოს რაიმე ხელსაქმე.

ამ შემთხვევაში თითოეულს მსურველს საგნის შესწავლისას შეეძლება ისეთი ხელობა აირჩიოს, რომელიც უფრო მოსწონს და ეადვილება. ყოველი ცოდნა გამოსადეგია და გარდა იმისა, რომ ცოდნა სიმდიდრეს შესძენს უსაქმურ საზოგადოების წევრს, კიდევ იმითაც არის სანატრელი, რომ შრომა და საქმე განავითარებს თვით ადამიანის სულსა და გულს, და მთელს იმის ბუნებას კეთილსა და გამომაფხიზლებელ გავლენას დააჩენს.

სასურველია ხელსაქმობის რიგიანად შესწავლა გლეხისთვისაც, მაგრამ არა ზემოთმოყვანილის მიზეზის გამო. გლეხის სახლობას, მართალია, სამთქნარებელი დრო არ რჩება და ამ მხრივ იგი შრომით გამოფხიზლებას სრულიად არ საჭიროებს.

ჩვენებურ გლეხის ოჯახში თუმცა ხელსაქმე იციან, მაგრამ არა ისე, როგორც მოითხოვს ამას ახლანდელ მეცნიერებისაგან შემუშავებული და განვითარებული ხელსაქმობა, არამედ ისე, როგორც იცოდნენ ვახტანგ გორგასლანის და მირიან მეფის დროს.

თუ რომ ამ საგანს ხეირიანი პატრონები გამოუჩნდებიან და მთავრობაც თავისის მხრით შემწეობას აღმოუჩენს, უეჭველია ჩვენი სოფლები მალე აყვავდებიან და დღეს გაჭირვებულს, ყოველისფრის გარეთ მყიდველს ოჯახს, ბევრის ისეთის რასმეს გაკეთება შეეძლება სახლში, ურომლოდაც ახლანდელ დროს ცხოვრება ძნელია.

ამიტომ საჭიროა, რომ მოწოდებულ იყვნენ სხვა-და-სხვა ხელსაქმის მცოდნე კაცები, რომელნიც სოფლად ივლიან და მსურველთა ასწავლიან

რომელი ჩვენებური ქალბატონი იქნება, რომ მშვენიერი ხავერდის, აბრეშუმისა, ფარჩებისა, ლეჩაქების და ათასის ამ გვარის საგნის შესწავლა არ მოინდომოს, თუ-კი საშუალება ექნება?

ყოველი ესე სულ ადვილად დასაწყები და მოსახერხებელი საქმეა, თუ სადავო არ არის ის აზრი, რომ შრომა კარგია, როგორც ხორცისა აგრეთვე სულისათვისაც? ხოლო მეთაურმა ამ ჩინებულის საქმისა, რასაკვირველია, უმთავრესად ჩვენს მანდილოსნებს დაშვენდება და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ისინი კიდეც განახორციელებენ ამ აზრს.

მეველე

## დეპეშა

15 ივნისს

**პარიზი.** ქალაქი სრულიად მშვიდობიანად იყო. ყველა ზომიერნი რესპუბლიკელთა დ კონსერვატორთა გაზეთები თანაგრძნობით მიეგებნენ

## ფელეტონი

—

**ქართველები მოზდოკში**

(მგზავრის შენიშვნები)

ვისაც ცოტად მაინც გაცნობილი აქვს ქართველთა ერის წარსული დრო, ისტორია და ის, თუ რა გავლენა ჰქონდათ წინად ქართველებს კავკასიის სხვა უცხო ტომის ხალხზედ, ადვილად მიხვდება, რომ ერთს დროში მოზდოკიც და მისი მკვიდრიც ქართველთა კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; დღეს ამ გავლენას სახსოვრად დაუტოვებია მხოლოდ ზოგიერთი ქართულ გეგმაზედ აშენებული ძველი ეკკლესია ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლის სასწაულთმომქედი ხატი, რომლის შესახებაც არსებული გადმოცემანი სრულიად არ ეწინააღმდეგება ისტორიას, ისტორიულად უკვე ცნობილი და დამტკიცებულია, რომ საქართველოს მეფეები და მათ შორის ბრწყინვალე თამარ მეფეც ბევრსა ცდილობდა, რომ ქრისტიანობა გაევრცელებინა ყველა მთიულ ველურ ხალხში და უფრო ოსებში. სარწმუნოების გასავრცელებლად დ დასამკვიდრებლად თამარ მეფე ჰგზავნიდა ოსეთში მოძღვრებს, მღვდლებს, სჯულის მასწავლებლებს, აგებდა ტაძრებს, ეკკლესიებს და ამ ნაირად ჰფენდა განათლების სხივს წარმართ ხალხში. ერთი ტაძრისათვის, რომელიც აშენებულ იქმნა თამარის მიერ ოსეთში სოფელ მარიამ-კაუში, ქურთათის ოლქში, თამარ მეფეს გამოუგზავნია საქართველოდგან ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დახატული იყო საქართველოშივე საკუთარის მხატვრის მიერ ექვსის კვირის მარხულობის შემდეგ. ეს ხატი, თავის მრავალ სასწაულ მოქმედებით, სასოება გამხდარა ოსებისათვის, დიდად პატივსაცემი და სათაყვანო შექმნილა ყველასათვის. თამარ დედოფლის შემდეგ, რადგანაც საქართველოს ცუდი დრო დაუდგა, გარეგან მტერთა ურიცხვმა შემოსევამ, შინაურმა განხეთქილებამ ისე წარმართა საქმე, რომ ოსები ჩავარდნენ თათრების გავლენის ქვეშ, დაივიწყეს თანდათან ქართველების მიერ დანერგილი ქრისტეს სარწმუნოება; ამ დროს ბევრი იღებს თათრის სჯულს, მაგრამ ბევრს კიდევ შერჩება პატივისცემა ეკლესიისა, გადმოცემათა ძალით კიდევ პატივსა სცემენ ყდ. წმიდა ღვთისმშობელს, ილია წინასწარმეტყველს და წმიდა გიორგის. თამარის მიერ გაგზავნილი ღვთისმშობლის ხატი-კი განსაკუთრებით პატივსაცემი დარჩა.

1745 წელს იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულმა დააარსა მისიონერთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონდა კავკასიის მთიულთა და განსაკუთრებით ოსების მოქრისტიანება. მქადაგებლები ურჩევდნენ ოსებს გადასახლებულიყვნენ იმისთანა ადგილებში, სადაც მეზობელს მაჰმადიანებს იმათზედ დიდი გავლენა არ ექნებოდათ. ზოგიერთი ახლად მოქცეულები ისმენდნენ ამგვარ რჩევას, სტოვებდნენ თავიანთ მიწა-წყალს და ესახლებოდნენ რუსებს მახლობლად. ამნაირად მოზდოკის ახლოსაც ახალ გადმოსახლებულთაგან, რომელთაც ახლად მიეღოთ ქრისტიანობა, დაარსდა მთელი სოფელი. 1793 წელს იმპერატრიცა ეკატერინე II დააარსა მოზდოკში საეპისკოპოზო კათედრა, სადაც დანიშნულ იქმნა ქართველი მღვდელ-მთავარი გაიოზი. გაიოზის მღვდელ-მთავრობის პირველ წელს ქურთათის მაზრიდგან მოზდოკში მოვიდა ოსების რამდენიმე სახლობა, რომელნიც უნდა დასახლებულიყვნენ ყიზლიარის მახლობლად. რასაკვირველია იმათ არ დასტოვეს თავიანთი ძვირფასი სულიერი საუნჯე ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც ურემზედ დასვენებული თან წაიღეს. მოვიდნენ მოზდოკის ახლოს და დადგნენ იმ ადგილას, სადაც წინად გადმოსახლებული ოსები დასახლებულიყვნენ — ღამით, ვახშმობის ჟამს იმათ დაინახეს, რომ ურემს, სადაც ხატი ესვენა, დაადგა სასწაულებრივი ნათელი, რომელიც მთელი ღამე არ შეწყვეტილა. მეორე დღეს შეუბეს ხარები ურემში, ურემი ვერაფრით ვერ დაძრეს, დიდხანს ეწვალნენ, ბოლოს ერთმა მათგანმა სთქვა, რომ მომესმა ღამით ხმა—„დასტოვეთ ხატი იმ ადგილს, სადაც ურემი სდგასო“. ამის შემდეგ, თუმც ძალიან სამძიმო იყო მათთვის ამისთანა ძვირ-ფასის საუნჯის მიტოვება, მაგრამ მაინც ამოასვენეს ხატი ურმიდგან, დაასვენეს ნაჩვენებ ადგილზედ და გაუდგნენ გზას ყიზლარისაკენ. ეს ამბავი უცებ მოეფინა მთელს სოფელში, ბევრმა ოსთაგანმა იცნო ის ხატი, რომელიც მთელს ოსეთში განთქმული იყო თავის სასწაულ მოქმედებით. მღვდელმთავარი გაიოზი ლიტანიით გამოვიდა, გადიხადა ღვთისმშობლის ხატის წინ პარაკლისი და დაასვენა ხატი მოზდოკის საკრებულო ტაძარში. მაგრამ ღვთისმშობელმა სასწაულებით აჩვენა მღვდელმთავარს გაიოზს, რომ მას ჰსურდა დარჩენა იმ ადგილას, სადაც ურემი შეჩერდა. მღვდელმთ ვარმა ააგო ნიში იმ ადგილას და დ ასვენა ღვთის-მშობლის ხატი, შემდეგ 1797 წელსა იმ ადგილას აშენებული იქმნა ქართულ გეგმაზედ ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელით, იქ ესვენა ხსენებული ხატი წრევანდლამდის, წელს-კი მოზდოკის ახალის საკათედრო ტაძრის კურთხევის დროს ყოვლად სამღვდელოს კავკავის ეპისკოპოსის ვლადიმირის მიერ ხსენებული ხატი მიძინების ტაძრიდგან გადმოსვენებულ იქმნა ახალს საკათედრო ტაძარში, რომლის შესანიშნავ ხუროთ-მოძღვრების მშვენიერებას აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ამ სასწაულთ-მომქმედის ღვთისმშობლის ხატს ურიცხვი მლოცველი ეტანება არა მარტო თერგისა და ყუბანის ოლქებიდგან, არამედ რუსეთის შუაგულ გუბერნიებიდგანაც მოდიან მლოცველები წელიწადში ორჯელ, 29 აპრილს და 15 აგვისტოს, ძვირფასის საჩუქრებით ამკობენ ივერიის ღვთისმშობლის ხატს და კმაყოფილნი ბრუნდებიან თავიანთ სახლში. აქედგანა სჩანს, რომ ქართველ ხალხის კულტურას დღესაც ისტორიულის ძალით გავლენა აქვს არა თუ კავკასიის სხვა-და-სხვა უცხო ტომზე, არამედ თვით რუსებზედაც.

დღეს მოზდოკში, როგორც საეკ-

პერიეს აღრჩევას და ამასთან აქებენ იმის სიმტკიცეს და კანონის ერთგულებას. მისს აღმორჩევას ისინი ისე სთვლიან, როგორც ანარხისტების ხმალში გათხოვას. რადიკალთა გაზეთები ამ აღმორჩევას ანგარიშობენ როგორც გამარჯვებას კონსერვატორთა მიერ მოწინავე რესპუბლიკელებზედ. ზოგი ერთი ჟურნალები ამ აღმორჩევას დემოკრატიის გამართვად სთვლიან. სოციალისტების ორგან „Petite Republique“ თავის მკაცრ წერილში ამბობს, რომ პერიე წარმომადგენელია კლერიკალურის არისტოკრატიისა და საფინანსო პლუტოკრატიასიო. და ახალის 16 მაისისათვის ყველა რესპუბლიკელნი უნდა გამოფხიზლდნენ. სოციალურმა ნაწილმა პარლამენტისამ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც წინაამდეგობას უცხადებს პერიეს აღრჩევას, რადგანაც ამით იგი ჰხედავს შეერთებას კლერიკალურ და საფინანსო ძალისას, რომელიც საშიშოა საფრანგეთის რესპუბლიკისათვისაო.

21 ივნისი

**პეტერბურგი**. გამოცხადებულ იქმნა კანონ-დებულებანი: იმის შესახებ, თუ ვადამდე როგორ უნდა გადაიხადონ სესხი საზოგადოებრივ დაწესებულებათ და სავაჭრო საზოგადოებათა და ამხანაგობად და აგრეთვე იმის გამო, თუ როგორი ზედამხედველობა უნდა დაარსდეს დამზღვეველ საზოგადოებათა მოქმედებაზედ.

8-დგან 17 ივნისამდე კრონშტადის ზღვის საავადმყოფოში მიიყვანეს 19 ხოლერიანი ავად მყოფი. როდესაც გამორკვეულ იქმნა იმათი პირ-ნასაქმი, 17 ავადმყოფს აღმოაჩნდა ხოლერის ბაცილები, რომელიც ზღვის გოშებს აუცრეს და ხოლერა მაშინვე აღმოაჩნდათ. 17-დგან 18 ივნისამდე კვლავ ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3.

**მადრიდი**. ვიღაც მუშას უნდოდა ხანჯლით მოეკლა რომში მლოცველებად მყოფ ისპანიის მუშათა მეთაური მარკიზ კიუბასი, მაგრამ ვერ მოახერხა. როდესაც მარკიზი ათვალიერებდა მადრიდის საკათედრო ტაძარში დაწყებულს მუშაობას, ავაზაკმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა ერთი მუშა, რომელიც მარკიზს გადაეფარა.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ თ. ანდრია ნიჟარაძეს, რომელსაც ქუთაისში სამხედრო სასამართლომ ჩამორჩობა გარდაუწყვიტა, კავკასიის მთავარ მმართებელმა შერემეტევმა ნაცვლად ამ სასჯელისა, ღირსებათა აუხდელად წლისა და ნახევრის ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

*** 21 ამ თვისას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობით გასასყიდად 13 სოფლის მამული, ამათში გაიყიდა 7, დარჩა გასასყიდად ხელმეორედ, ორის კვირის შემდეგ, 6 მამული.

*** ჩვენ მივიღეთ მ. შარაძის თარგმანი და ი. ჩიჩუას მიერ გამოცემული პაწია წიგნაკი: „ცხოვრება დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა“ წიგნი მეტად ლამაზად არის გამოცემული დართული აქვს დიდის მოწამის პანტელეიმონის სურათი, შეიცავს სულ 36 გვერდს და ფასადაც მეტად იაფად ჰღირს, 5 კაპ. სასურველია, რომ ამისთანა წიგნებს ბევრს გამოსცემდნენ, რადგან ხალხი ძალიან ეტანება და კითხულობს. როგორც შევიტყეთ, იმავე მ. შარაძის მიერ ნათარგმნი წიგნაკები „წმ. ფილარეტისა“, „წმ. მარიამ ეგვიპტელისა“ და „შვიდთა ყრმათა ეფესელთა“ ცხოვრებანი სულ ექვსი ათასამდე გაყიდულა. მარიამ ეგვიპტელის ცხოვრებას ხელმეორედ აპირებენ ბეჭდვას, რადგან ეს წიგნაკი აღარსად იპოვება გასასყიდად.

*** სოფ. ვაქირი (სიღნაღის მაზრა): ვაქირის იოანე ნათლის-მცემელის ეკკლესია ერთი უმშვენიერესი, უდიდესი და უძველესი ეკკლესიათაგანია მთელ ქიზყში. ეს ეკკლესია აშენებულია კახეთის მეფის იულონის მიერ მეთექვსმეტე საუკუნეში. მიშენებული აქვს ჩრდილოეთით და სამხრეთით სამხროები, რომელთაგანაც უკანასკნელი დღევანდლამდის გაუქმებული იყო, მაგრამ ეხლა კი მღვდლის შანშიაშვილის მეცადინეობით ეს სამხრო მიეცა შესაკეთებლად სიღნაღში მცხოვრებ კალატოზ გეურქ სააკაშვილს. ამან ყოველივე საჭირო მასალა უკვე დაიმზადა და საქმის აღსრულებაში მოყვანასაც ამ დღეებში შეუდგება. ამა მღვდლის მეცადინეობით საზოგადოებამ შარშან თავისის ხარჯით მიაშენა ეკკლესიას დასავლეთით კარგი და მოხდენილი სამრეკლო. წელს კიდევ ეკკლესიამ შეიძინა მშვენიერი ხომლი.

*** 20 ივნისს მთის მეორე ქუჩაზედ ტატიშვილის სახლის მეორე სართულის აივნიდგან წყალით სავსე ვედრა გადმოვარდა, ძირს მოთამაშე ვასილ მუხინის ოთხის წლის ბავშს დაეცა და თავი გაუტეხა.

*** საზოგადო ქუჩაზედ მცხოვრებელმა ელისაბედ თულაშვილისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 21 ივნისს სადგურიდგან 1500 მან. ძვირფასი ნივთეული მოპარესო. ეჭვი გამოაცხადა ბათუმის მცხოვრებელ სიმონ ჩეჩიხჩანცზე. შეწამებული თავისის სახლიდგან გაიპარა, პოლიციამ შეიპყრო და გასჩხრიკა, მაგრამ ვერა უპოვა-რა.

## N...

გახსოვს, მაცდურო, შენ ის საღამო,
ის მოკაზმული უცხო ქვეყანა,
ცრემლი და ფიცი სალხენ-საამო
და სიყვარულის ციური „ნანა“?
გახსოვს—ვისხედით მდინარის პირად,
შორს, შორს ცის კიდეს მივჩერებოდით,
სიყვარულს ვაცხდით სინორჩის გმირად,
მხოლოდ ტრფობაში სამეს ვგრძნობდით?
გახსოვს—გვირგვინსა სანატრს გვიწნავდნენ
დამავალი მზის ცელქი სხივები,
სიყვარულზედა ზვირთნი გვმღეროდნენ
და ზანს აძლევდნენ გულის სიმები?
გახსოვს—ნიავი ცელქი და გრილი
მეცილებოდა მე შენსა ალერსს,
ბულბული სტვენდა, გრძნობით აღვსილი,
ვარდად იმჩნევდა შენს ტურფა ღაწვებს!
შენც იმღეროდი!.. შენსა გამგონეს
უსულო ქვებსაც-კი ატყვევებდი
ჰმატებდი სულის, გულის ძალ-ღონეს
და გრძნობათ წყაროს მისალბუნებდი?..
ტრფობისა ხარკად მომიძღვენ ვარდი...
„გმადლობ“ — ვერ გითხარ: ენა დამებ...
ოჰ, რანაირად იმ დროს მიყვარდი,
ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სამება?...
ახლა? ოჰ, ახლა?... ღმერთს გეფიცები
ხან და-ხან შხამად გარდაიქცე მინდა;
მინდა მოკიმხრო ველზუკები,
მაცდური, შმაგი, თვით არა წმინდა;
შეიქნე ცეცხლი და საწამლავი,
მთელი სოფლიოს დამღუპველი,
შავი, მხვილი გულ-გამგმირავი,
ღვთის რისხვა ქვეყნის ამტარებელი,—
და შენ გაწამე!.. ეგ შენი სული
ყოველს წამს სიკვდილს რომ ჰნატრულობდეს,
ესმოდეს კუპრი აღდუღებული
ხსნისა და შველის ვერსით ჰხედავდეს?..
ჩემთან პირშავო, ღმერთთან-შემცოდე,
სცან ამ წამებს, ტანჯვის ღირსი ხარ?..
მაგრამ რად არ გკლავ-გინდა იცოდე?—
ამ საბრალო გულს მკვლებრ უყვარხარ!..

გრ. აბაშიძე

## კორესპონდენცია

**სიღნაღი**, 16 ივნისი. ქ. სიღნაღის პირველ უმთავრესს ქუჩას გარდა გვაქვს კიდევ მეორე ქუჩა, არა ნაკლები უმთავრეს ქუჩისა. ამ ხსენებულ ქუჩას ადრევე ეწოდებოდა ანაგის ქუჩა. ეხლა ეწოდება გრ. ტიზენგაუზენის ქუჩა პატივსაცემად აწინდელ ვიცე-გუბერნატორისა. როდესაც გრაფი ტიზენგაუზენი, სიღნაღის მაზრის უფროსად ბრძანდებოდა, სულ ამ ანაგის ქუჩაზედ სცხოვრობდა. ეს ქუჩა ფართო და გრძელია, ორივე მხარეზე, მარცხნივ და მარჯვნივ, მჭიდროდ არის დასახლებული და მნიშვნელობაცა აქვს ქ. სიღნაღის მცხოვრებთათვის: ამ ქუჩიდგან ეზიდება ორ წილზედ მეტი მცხოვრები სასმელს წყალს ანაგის ხევიდგან; ამავე ქუჩით შემოდის ყოველივე სახმარებელი ნუზლ-სანოვაგე მოქალაქეთათვის, ბაკურციხისა, კარდანახისა, ანაგისა და ვაქირიდგან. აქ ირევა ძრიელ ბევრი წვრილ-ფეხობა, ნამეტნავად დილა საღამოს. სოფლებიდგან სასწავლებელში დადიან მოსწავლე ყმაწვილები. ბევრს ყმაწვილს გასტეხია თავი და ბევრ მოსწავლე ყმაწვილს გადაუკოტრიალია ყირამალა, წყლის მომტან ბიჭების დაუდევარი ტარებით. როგორც ზევით მოგახსენეთ, ამ ქუჩიდან ეზიდება თითქმის ორი წილი ხალხი ქ. სიღნაღისა წყალს და ისე თავისუფლად და თამამად დააქროლებენ ეს ზემოხსენებული წყლის მომტანი ბიჭები თავიანთ ბედაურ ვირებს, რომ დიდი სიფრთხილე სჭირდება კაცს დაერიდოს ამ გამოქანებულს ვირებს, რომ ან თავი არ გაუტეხონ და ან არსად გადაჩეხონ. ათი-თხუთმეტი ვირი მორბის მხარ გაბმით მთელს ქუჩის სიგანეზედ თავისის ტვირთით. კოკასაკოკით და უკან მოსდევენ ორი ან სამი წყლის მომტანი ბიჭი სახრის ტყაპა-ტყუპით და „აჰცე“-ს ძახილით, იმას-კი აღარ დაგიდევენ, ამ მხარგაბმულ რაზმს დაერიდება, ანუ დარიდებას მოასწრობს, ან მოახერხებს მოსწრობას ამ გზაზე ამლელ-ჩამლელი თუ არა? თუ წააქციეს ვინმე (წააქციეს-კი არა ხან დღეში ათი იქცევ-იჩეხება, ამათის წყალობით), დაჩეჩქვეს, დაამტვრიეს, სიბრალულის მაგიერ მაშინვე შეუტევენ ამაყად. „დაერიდე, ბრმა ხომ არა ხარ, რომ მოვდივართ, გვეჩქარება, დალაქხანა გვიცდება და მუშტარს დროზე წყალი უნდა მივაშველოთ, სადა მცალიან რომ შენ გარიდო ვირები!“ „ჰაცეე“, და ხარხარით მირბიან, ვითომც აქ არაფერიაო, ქუჩაზედ-კი თავპირ-დამტვრეული ადამიანი გდია. შარშან დააჯახეს ერთ პურის მცხობელ დედაკაცს, დაემტვრა თავ-პირი და თითქმის ორი თვე იწვა ლოგინად, დღესაც ვერ გამომდგარა საცოდავი, შარშანვე დაეჯახა გამალებული ვირი ერთ მოსწავლე ყმაწვილს, და გაუტეხეს თავი. ამ წინაზედ წააქციეს ვირებმა ერთი პატარა ყმაწვილი, და თუ არ მესწრებოდა ამომვლელი გლეხი, უთუოდ ფეხით გაიტანდნენ ვირები. აბა ახლა გამოესარჩლე და-

---

კლესიო დავთრებიდამ სჩანს, 84 კომლი და 300 სულზე მეტი ქართველი ცხოვრობს; ამათში ჯერ კიდევ შენახულია ქართული ჩვეულებანი, ენა და სარწმუნოება, თუმც ბევრი გავლენა ჰქონიათ იმათზედ ნაციებს, რომელთაც ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ ხოლმე. რაც შეეხება აქაური ქართველების უმეტესი ნაწილის ეკონომიურს მდგომარეობას, ძრიელ ღარიბები არიან, ზოგს ლუკმა პურის შოვაც უჭირს, ბავშვები ხომ სულ უსწავლელები რჩებიან; ზოგი, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, აბარებს რუსის სასწავლებლებში ბავშვებს, მაგრამ რადგანაც რუსულ ენაშიაც საჭიროდ მომზადებულნი არ არიან, ამიტომ უმეტესი ნაწილი ყოველთვის ცუდად სწავლობს. ამათთვის ქართული სკოლა, რომელსაც შეუძლიან ქართველ ბავშვს მისცეს ბუნებრივი მიმართულება სწავლის საქმეში, მისცეს შეძლება ბავშვებს ნასწავლის რიგიანად შეგნებისა, სწავლის გაადვილებისა, იქნება აქაური ქართველ მოზარდ ყმაწვილთათვის ზეციური მანანა. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ აქაურს შეძლებულთ და შეგნებულ ქართველთ, რომელთაც კარგად ესმით, რომ ბეჩავის ხალხის ბედი და უბედობა სწავლა-განათლებისაგან არის დამოკიდებული, მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძლიან როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერადაც აღამაღლოს დაცემული ხალხი. ამ პატივცემულ კაცთ, რომელთ შორის საპატიო ადგილი უჭირავს იოსებ თევდორეს ძეს გუბნელოვს, განუზრახავთ ქართულის სკოლის დაარსება მოზდოკში. ბ-ნს გუბნელოვს უკვე აუგია საკუთარის საფასით სკოლისათვის მშვენიერი აგურის შენობა; რამდენსამე აღუთქვამს ყოველ წლობით ერთად 200—250 მანეთამდის გაღახდა სკოლის სასარგებლოდ და მიუმართავთ თხოვნით „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისთვის, დანარჩენში თქვენ გვიშველეთ და სკოლა გაგვიმართეთო. თუ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აზრად აქვს, რომ მივარდნილსა და მიყრუებულს კუთხეში მოჰფინოს ქართველთა შორის პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება და მწიგნობრობა, ამისათვის სკოლის გახსნისათვის უფრო საჭირო ადგილს ვერსად ვერ იპოვის; ამიტომ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ გარემოებას დროზედ მიაქცევს ყურადღებას გამგეობა და ამ მოკლე დროში აიღებს ნებას სკოლის დაარსებისას. იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ მოზდოკის შეგნებული და შეძლებული ქართველები: იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვი, დეკანოზი ბართლომე სინანაშვილი, პოლიცმეისტერი სვიმონ დავითის ძე გაბაშვილი, სტეფანე დიმიტრის ძე ეგოროვი, მათე იაკობის ძე ზუზინოვი, ჰყონია, კონჰუხიძე, პეტროვი, მარცვალაძე და მარჯანოვი და სხვები მომავალში იმდენს ზნეობრივსა და ქონებრივს თანაგრძნობას გამოიჩენენ, რომ თითონ მოიპოვებენ წყაროს სკოლის შესანახად; დროებით-კი აუცილებლად საჭიროა ცოტა ხარჯი გაიღოს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ და გაჰმართოს სასწავლებელი, რომელსაც დიდის მოლოდინით და აღტაცებით მოელიან მოზდოკელი ქართველები. სკოლის შემწეობით მოელიან აქაური ქართველები ქართულის წირვა-ლოცვის მოსმენასაც; თუმცა აქ ქართველი მღვდლებიც არიან, მაგრამ ქართული წირვა-ლოცვა თითქმის სულ არ სრულდება. კავკავის ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო ვლადიმირს უსაყვედურნია აქაური ქართველ მღვდლებისათვის, რატომ დრო გამოშვებით ქართულადაც არ ასრულებთ საღმრთო მსახურებასაო, მაგრამ ამათ მიზეზად წიგნების უქონლობა უთქვამთ. ეს უძლეველი მიზეზი არ არის და დღეის შემდეგ იმედია მოზდოკის ქართველი მღვდლები უფრო მტკიცედ და ბეჯითად ეცდებიან თავის ხალხში ზნეობრივის სწავლა-განათლების გავრცელებას სამშობლო ენაზედ.

თერგისა და აგრეთვე ყუბანის ოლქშიაც ბევრგან არიან ქართველები გაფანტული—ზოგი სოფლები თითქმის მარტო ქართველის ხალხით არის დასახლებული მოზდოკსა და ყიზლარს შუა არის ერთი სოფელი „სახელად სასოფლო, სადაც 70 კომლამდის ქართველი ხალხი სცხოვრობს. აქაურ ქართველებს არც ერთ სტატისტიკურს ცნობებში ქართველებად არ იხსენებენ, მიუხედავად იმისა, რომ ენა, სარწმუნოება, ჩვეულება, ჩაცმა დახურვა-სულ ქართველური აქვთ. ისინი სწერიან რუსის ყაზახებად და ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ უმეტესთა ქართული გვარი ჩაწერის დროს დაუმახინჯებიათ ან რუსულად უთარგმნიათ და ან ნახევარ ქართული გვარი შერჩენიათ. რა საკვირველია, რომ რამდენიც უფრო მეტი ქართული სკოლები იქნება ამ მხარეში, იმდენად ხალხის თვით შემეცნება, თვით შეგნებულობა თან-და-თან გამოიღვიძებს და დედა-ენაც, რომლითაც ცოცხლობს ყოველი ერი და რომელიც ყველა საუნჯეთა შორის უსაყვარლესია, არ დაიკარგება და ხალხიც არ მოისპობა, არამედ გაძლიერდება უფრო და შეიქმნება ერის მომავალის ბედნიერებისა საშუალად. ჩვენ არა ერთხელ არ გვინახავს ამგვარი სურათი აქეთ: ქართველ მოხუცებულს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში აქვს, გაუგონია თუ არა ქართული სიმღერები და ან დარბაისლური ქართული ლაპარაკი, რომელსაც დროთა ვითარების გამო მოკლებული ყოფილა, მეტის მეტის სიხარულისაგან ცრემლებიც-კი ვერ შეუკავებია. ამნაირი წუთი ფრიად სასიამოვნო და აუწერელია იმათთვის, ვინც მოკლებულია თავის ტომის ხალხთან, ტოლ-ამხანაგთან ცხოვრებას, გადახვეწილა უცხო მხარეში, სადაც ახალს ცხოვრებას ვერ მოჰრიგებია.

ლ. ბოცვაძე

შავებულ-დაჩაგრულთ, ისე შეგამკობენ ახალმოდურ ლანძღვა-გინებით, რომ შენმა პატრონმაც ველარ გიცნოს. ასე წათამამებულები წყალის მომტანი ვაჟბატონები არც სოფლელ გლეხ ხალხს (ნამეტნავად დიდკაცობაა შეწუხებული) აყრიან კეთილს. მაგალითიც ბევრია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორს დავასახელებთ. წარსულ აპრილის თვეში, ერთი ს. ანელი კაცი ამოეგანგლათ თავგივით ლაფში და თავ-პირი სისხლით აევსოთ. რად ცყავით შვილო ასე? ეკითხებოდა ერთი მოხუცი კაცი. „იმიტომ, რომ ამ კაცმა ხანჯალი ამოიღო და მოკვლას გვიპირობდაო. ამ ივნისის პირველს ორ წყალის მომტანს დაეჭირათ ერთი გლეხი-კაცი და ისე ეცემათ, რომ სისხლისაგან სახე აღარ ეტყობოდა და აღარც ტანისამოსი. ტანისამოსიც ისე დაეხივათ, რომ მარტო ადამის სამოსით იყო დარჩენილი. ეს გლეხი ორივე წყალის მომტანს თავიანთ ბეჩაურ ვირებით პოლიციაში მიათრევდა. მაგრამ ერთს ორთან რა გაუვიდოდა? ამ ჩხუბ-ყვირილს შეესწრო სიღნაღის მაზრის ხაზინის საქმეების მწარმოებლის თანაშემწე დ. ი. პატაპოვი გამოვარდა თავ-შიშველი და თითქმის $1/2$ საათი მოუნდა პოლიციელის ძებნას. რის წვალებით იპოვა პოლიციელი, ჩაბარა ეს უბედური გლეხი და მისი მტარვალი ორი რაინდი პოლიციაში წარსადგენად. მაგრამ რა გამოვიდა, ერთი საათის შემდეგ ისინი ისევ დასეირნობდნენ კვეხნა-ბაქიაობით. ვინ უნდა ალაგმოს ამათი უწესო ქცევა და თავ-გასულობა?

არც ქურდებისაგან არის უჩინო ჩვენი ქ. სიღნაღის მცხოვრებელთა ქონება და სახლ-კარი. ქურდებმა დუქნების მტვრევისაგან მოიცალეს და ახლა სახლ-კარსა და ეზოებში მიჰყვეს ქურდობას ხელი.

რაზმაძე

---

**რაჭა.** ეს ცოტა ხანია, რაც მიჰყვეს ხელი აქ ფრიად სასიამოვნო საქმეს. ეს საქმე გახლავთ პატარა სამამასახლისოების შეერთება. თითოეული სამამასახლისო შეადგენს 4 ან 5 სოფელს 250-მდე კომლს და აწ შეერთებულია 14—15 სოფელი 1000-მდე კომლ მცხოვრებლებით. ეს საქმე მიეწერება ბ-ნს მაზრის უფროსს, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც ჩვენში იქმნა გამწესებული, მაგრამ ამ ცოტა ხანსაც არ ჩაუვლია უნაყოფოდ. ამის მეოხებით შეერთდა რამდენიმე სამამასახლისო, დაარსდა რამდენიმე ორ-ორ კლასიანი სასწავლებელი, აგრეთვე სამკურნალო რაჭის შუა ადგილზედ და სხვა...

ამ ბოლო დროს კიდევ განაზრახა ბაჯის, ხანჭიორის და ციხის სამამასახლისოების შეერთება და სისრულეშიაც მოჰყავს. ამას წინად ყრილობა მოხდა პატარა ონის მინდორზედ, სადაც თორმეტმა სოფელმა მოიყარა თავი, დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა. აქავე იყვნენ მაზრის უფროსი და სამაზრო ბოქაული. წინადადება სამამასახლისოს შედგენისა ხალხმა სიხარულით მიიღო. მერე გაიმართა ბჭობა იმის შესახებ, რომ ამოერჩიათ შესაფერი ადგილი კანცელარიისა და სასწავლებლის ასაგებად. ზოგი ამბობდა ს. ტბეთს, ეკკლესიის მარჯვნივ სამხრეთისაკენ რომ უძევს მშვენიერი ვაკე ჭალა, რომელსაც ეწოდება „ორღელე შუა“, იქ ავაგოთო. ეს სახელი თითქოს განგებ დაურქმევიათ, რადგანაც აქეთ-იქით ჩამოუდის მოზრდილი წყალის ნაკადულები, რომელნიც თითქმის სათითაოდ წისქვილს დააბრუნებენ და აგრეთვე შუა ადგილიც გახლავთ სულყველა შემოერთებულ სოფლებისა. ზოგი იმავე ონის მინდორს ამჯობინებდა, სადაც ყრილობა მოხდა, და ეს უკანასკნელი ირჩიეს კიდეც სამწუხაროდ, სამწუხაროდ რადგან არა გვგონია, რომ ასეთი დადგენილება საკეთილო იყოს. მაგალითად, შარშან-წინ მაზრის მმართველებმა გამოგვიცხადეს, ბაჯის საზოგადოებას რომ კანცელარია აქვს ამავე სოფელში, ს. ღადიშს უნდა გადაიტანოთო. ჩვენ უარი განვაცხადეთ, მაგრამ არ გაგვივიდა და, რის ვაივაგლახით, გადავიტანეთ და, აგრეთვე სასწავლებლის ძველის შენობის ნაცვლად, ახალი ავაგეთ, რაც 1,500 მანეთამდე დაგვიჯდა.

კარგი იქნება, რომ ბ-ნმა მაზრის უფროსმა ინებოს და ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ ის არ დაგვემართოს, რაც ზევით მოგახსენეთ. ამისათვის საჭიროა სოფლელებსაც ჩააგონოს, რომ კანცელარიისა და სასწავლებელს ს. ტბეთს ააგებდნენ, რომელიც შუა ალაგიც გახლავთ და ყველასთვის მდებარეობით შეუდარებელია და წყალითა და შეშით უზრუნველი. აგრეთვე ალურჩევდეს შესაფერს მამასახლისს, გონება განვითარებულს, ხალხის ცხოვრების და ავ-კარგიანობის ზედ მიწევნით მცოდნეს, რომ ქვრივ-ობოლსა და უპატრონო ხალხს მამობა გაუწიოს, არავის დაჩაგვრინოს და ადგილი აღარა ჰქონდეს ისეთს შემაძრწუნებელს უსამართლობასა და მექრთამეობას, როგორსაც დღემდის უსწავლელს, გულ-შეუტკივარის, ანგარების მოყვარე მამასახლისების ამორჩევით.

ს. მ. ჭელიძე

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რომის გაზეთმა „Tribuna“-მ დაბეჭდა საუბარი ერთის თავისის თანამშრომელისა კარნოს მკვლელის უფროს ძმასთან. მკვლელი კაზერიოს ძმა მდიდარი კაცია თურმე; იმას ორი დიდი ღვინის სარდაფი აქვს და სცხოვრებს მუდამ მილანში. აი რა უთქვამს უფროს ძმას კაზერიოსას:

„ჩემმა ძმამ ჩინებული შინაური განათლება მიიღო; იგი ცნობილი იყო, როგორც გულ-ჩვილი და ღვთის-მოსავი ახალგაზდა. ძლიერ უყვარდა მას ყოველს საეკკლესიო დღესასწაულში მონაწილეობის მიღება საღმრთო წარმოდგენის დროს, იგი არდგენდა წმინდა იოანეს, რადგანაც მისი მშვენიერი, ქერა ხუჭუჭი თმა საშინლად ამსგავსებდა ამ წმიდანს *). მილანში ხელში ჩაუვარდა ის ცნობილს ანარხისტს გორის. ჩემთვის სრულებით საეჭვო არ არის, რომ ჩემს ძმას კენჭის ყრით ერგო—მოეკლა პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა“.

თანამშრომელი „Tribuna“-სი უმატებს, რომ „ყველა ნათესავები და მეგობრები მკვლელისა ქება-დიდებას ასხმენ მისს კეთილს გულს (?!) და პატიოსანს პირდაპირ ხასიათს.“

*) კათოლიკეთა ქვეყნებში დღემდის არსებობს საღმრთო წარმოდგენათა გამართვა. რედ.

# საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

საფრანგეთში უკვე მომხდარ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანისა გამო საჭიროდ მივაჩნია გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს მოკლე ცნობები იმის შესახებ, რა უფლება და მოვალეობა აქვს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მეთაური მთავრობისა და ქვეყნის გამგეობისა და უზენაესი უფროსი სახელმწიფოსი, რომლის წარმომადგენელიცა და აღმნიშვნელიც არის იგი დიდს სახელმწიფოთა წინაშე. ყოველივე, რაც-კი ქვეყნის მართვა-გამგეობას შეეხება, იმის სახელითა სწარმოებს; იგი აძლევნებს თვალ-ყურს აღმასრულებელ მთავრობის დადგენილებათა აღსრულებას და თუმცა მართლ-მსაჯულება სწარმოებს არა პრეზიდენტის სახელით, მაგრამ მისის სახელით-კი მოჰყავთ აღსრულებაში მართლ-მსაჯულების ყოველი განაჩენი. აქედგანვე სჩანს, რომ პრეზიდენტს მეტად მრავალი და სხვა-და-სხვა გვარი საქმე აქვ' რწმუნებული: ერთს საქმეში იგი აღმასრულებელია მთავრობისა, მეორე საქმეში კანონ-მდებელთან ერთად ჰმოქმედებს, ხოლო მესამეში გავლენა აქვს პოლიტიკის საზოგადო მიმართულებაზედ.

ვიდრე განვიხილავდეთ იმას, თუ რა მოვალეობანი აქვს პრეზიდენტს, ვიტყვით, რომ ყოველი საქმე, რომელსაც-კი იგი აწარმოებს ვითარცა სახელმწიფოს მეთაური, მინისტრთა პასუხის გებით უნდა იყოს უზრუნველ-ყოფილი. ეს წესია დადგენილი იმ ძირეულ დედა-აზრიდგან, რომლითაც რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხის მგებელი არ არის თავისის მოქმედებისა და სამართალში შეძლება მიცემულ იქმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ღალატის ბრალი დაედო (კანონ. 1875 წ. 25 თებერვლისა, მუხ. 6). ამ დედა-აზრის ძალით მინისტრები პასუხის-მგებელნი არიან პარლამენტის წინაშე სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებისა, და ეს უკანასკნელი, იმყოფება-რა დასთა ბრძოლის გარეშე, აღმნიშვნელი არ არის პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებისა და შეუძლიან თავისი უფლება შეირჩინოს, თუნდა მინისტრებიც შეიცვალნენ და თუნდა ქვეყანა და პარლამენტიც სხვა აზრისა და სხვა სურვილისა იყოს.

პრეზიდენტი რესპუბლიკისა თავმჯდომარეობს ყოველ სახელმწიფო დღესასწაულის დროს, ართმევს და ურიგებს სიგელებს სადიპლომატო წარმომადგენლებს,-უმთავრესი მმართველია ჯარისა და თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს კრებაზედ. ამ მხრივ საფრანგეთის კონსტიტუცია განსხვავდება ინგლისისაგან, რადგან ინგლისის დედოფალი არასოდეს არ დაესწრება ხოლმე კაბინეტის ბჭობასა და თათბირს. პრეზიდენტი პირობით ეკვრის, ამტკიცებს საერთაშორისო პირობას და ამ ამბავს აუწყებს პარლამენტს, თუ სახელმწიფო სარგებლობა და უვნებლობა ამის ნებას აძლევს. ხოლო ხელ-შეკრულობა მშვიდობიანობის შესახებ, სავაჭრო ხელ-შეკრულობანი, საერთაშორისო დადგენილებანი, რაც-კი შეეხება ფრანგთა კერძოსა და ქონებრივს უფლებას, ე ხელ-შეკრულობა მიწა-წყალის დათმობისა და შემძენისა მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, თუ პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქმნა (კანონი 1871 წლ. 16 ივლისისა, მუხ. 8). ამასთან პრეზიდენტი რესპუბლიკისა ვერავის გამოუცხადებს ომს, თუ ომის გამოცხადებამდე არ შეეთანხმა პარლამენტს (მე-9 მუხ.); ამ გვარად პრეზიდენტს როგორც უმთავრესი მმართველობა ჯარისა კონსტიტუციის მინიჭებულის უფლებით შეუძლია მოიხმაროს მან ქვეყნის შინა და გარეშე უშიშროების დასაცველად. ამ კანონ-დებულების საფუძველით, რესპუბლიკის მთავრობა ორჯელ იქმნა ბრალ-დადებული: კონსტიტუცია დაარღვიეთ იმითი, რომ ომი პარლამენტის დაუკითხავად დაიწყეთო: ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ტუნისის ექსპედიციის დროს 1881 წელს და მეორე—ტონკინის ექსპედიციის დროს 1884 წ. დასასრულ, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა სხვამოხელეებს. ფორმალურად პრეზიდენტს უფლება აქვს მინიჭებული ამოირჩიოს მინისტრები პარლამენტის დეპუტატთაგან თავისის სურვილისამებრ, ნამდვილად-კი ამ მხრივ ანგარიში უნდა გაუწიოს პარლამენტის წევრთა უმეტესობის სურვილს. 1877 წელმა ნათლად დაამტკიცა, რომ პრეზიდენტს, თუ არ უნდა სახელმწიფო მართვის სარგებლობა და კერძოდ თავისი მდგომარეობა საფრთხეში ჩააგდოს, შეუძლიან თავისი მინისტრები მხოლოდ იმ დასის წევრთა შორის ამოირჩიოს, რომელსაც პარლამენტში უფრო მეტი უმრავლესობა ჰყავს: მაკ-მაჰონმა, რომელმაც 16 მაისს ჟულ სიმონის კაბინეტი ბროლიის კაბინეტს ანაცვალა, ბოლოს იძულებული იყო დაჰყოლოდა მთელის ქვეყნისა და პარლამენტის მოთხოვნილებას და უარ ეყო ის აზრი, რომ შეიძლება ქვეყნის მართვა იმ მინისტრების შემწეობით, რომელთაც პარლამენტში ცოტა მომხრე ჰყავთო.

კაბინეტის შედგენა ძნელი არ არის, თუ მტკიცე და გარკვეული უმრავლესობა არსებობს, კარგად შემდგარი და კარგის მეთაურის მიერ წამძღვარებული. მაგრამ ეს საქმე პრეზიდენტს დიდად უძნელდება იმ გარემოებათა შორის, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს საფრანგეთში. ეს გარემოება მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც პარლამენტი დასებად არის თანაწილებული და არც ერთს დასს კერძოდ უმრავლესობა არ ემხრობა, ყველა დასს თავისი საკუთარი პროგრამა და თავისი საკუთარი მისწრაფება აქვს. როდესაც პარლამენტი ასეთს მდგომარეობაშია, მაშინ უმრავლესობა მხოლოდ სხვა-დასხვა დასის წარმომადგენელთაგან შეიძლება შესდგეს და საშუალების ხმარების ასეთის უმრავლესობის შესადგენად შეიძლება სხვა-და-სხვა გვარი. ამისთანა ვითარებაში პრეზიდენტს გზა გახსნილი აქვს თავისუფლად სამოქმედოდ, მაგრამ ამ საქმის სისრულეში მოყვანაკი ისე ადვილი არ არის. საფრანგეთის კაბინეტთა უმეტესობა ამ უკანასკნელს წლებში დათხოვნილ იქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით შესდგა უმრავლესობა რადიკალთა და მემარჯვენე დასის მომხრეთაგან. პრეზიდენტს არ შეეძლო ქვეყნის მმართვა ჩაებარებინა ასეთის შემდგარ უმრავლესობისათვის და ამიტომ იძულებული იყო ემოქმედნა პირადის მოსაზრებით და არა პარლამენტის რჩევა-თათბირით. იმის გამო, რომ რესპუბლიკელთა უმრავლესობას მტკიცე ერთობა არა ჰქონდა და ხშირად დანაწილდებოდა ხოლმე, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასეთს მდგომარეობაში ვარდებოდა ისეთს დროსაც-კი, როდესაც კაბინეტი გადამდგარი იყო თვით რესპუბლიკელთა უმრავლესობის წყალობით. მაგალითებრ, ასე მოხდა წრეულს, როდესაც კაზიმირ პერიე იძულებული იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა. კარნოს შეეძლო მიემართნა ასეთს გაჭირვებაში რესპუბლიკელთა დასის რომელისამე მეთაურისათვის და უფრო გარემოებათა შესაფერი იქნებოდა, რომ კაბინეტის შედგენა გობლესათვის მიენდო, ამ რადიკალთა მეთაურისათვის. მაგრამ საერთო ვითარება გამოურკვეველი იყო და ამან შეძლება მისცა უკან დაეყენებინა გობლე, რომელიც იკისრებდა რადიკალ კაბინეტის შედგენას, და ეს საქმე დიუპუისათვის მიენდო, იმ პოლიტიკის მომხრესათვის, რომელიც ის-ის არის დაწუნებულ და უარ-ყოფილ იქმნა პარლამენტის მიერ.

კანონით კაბინეტების შედგენა საფრანგეთში იმ რიგადვე სწარმოებს, როგორც ინგლისში, ესე იგი სახელმწიფოს მეთაური ამოირჩევს ხოლმე პირველ მინისტრს, ხოლო ეს უკანასკნელი ამხანაგებსა ჰპოულობს. მაგრამ საქმით-კი ეს წესი საფრანგეთში ისე დაურღვევლად არა ჰმოქმედობს, როგორც ინგლისში. ამ წესის დარღვევის მაგალითად შევიძლიან დავასახელოთ ის ამბავი, რომ კარნომ დიუპუის ძალა დაატანა 1893 წლის საზოგადო არჩევანის შემდეგ, პეიტრალს მინისტრობას ნუ გამოსწირავო.

საკანონ მდებლო დაწესებულებით პრეზიდენტს ორ გვარი დამოკიდებულება აქვს: ეს დამოკიდებულება თავს იჩენს ხოლმე სესსიათა დაწყებისა და დაბოლოვებისა და აგრეთვე საქმეთა წარმოების იმ დროს, როდესაც პარლამენტები ჰმოქმედებენ. პარლამენტთა სესსია ჩვეულებრივ იწყება დეპუტატების მიუწვევლად ყოველ წლის იანვრის თვის მეორე სამშაბათს; ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან ყოველთვის, როდესაც-კი საჭიროდ დაინახავს, საგანგებო სესსია გაჰმართოს და პარლამენტი გახსნას. იგი ვალდებულია ასე მოიქცეს, როდესაც ამას მოითხოვს დიდი უმრავლესობა სენატორთა და დეპუტატთა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოსპოს პარლამენტის მოქმედება, ესე იგი შეაჩეროს კრება; ხოლო ასეთმა შეჩერებამ ერთს თვეზედ მეტს არ უნდა გასტანოს და ერთის სესსიის განმავლობაში ორჯელზედ მეტად არ უნდა მოხდეს. ჩვეულებრივმა სესსიამ, სულ ცოტა, ხუთს თვეს მაინც უნდა გასტანოს წელიწადში, იანვრის მეორე კვირის სამშაბათიდგან დაწყებულმა; რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლიან, ზემოხსენებულ შეჩერების გარდა, ხელი შეუშალოს პარლამენტის შეკრებასა და მის მიერ თავისის მოვალეობის აღსრულებას. როდესაც ჩვეულებრივის სესსიის მოქმედების ვადა გავა, პრეზიდენტს ნება აქვს, როდესაც უნდა, დახუროს პარლამენტი, აღკრძალოს კრებანი. საგანგებო სესსიის დაბოლოვება იმისს უფლებას შეადგენს.

დასასრულ, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან დაითხოვოს პარლამენტი კანონიერ ვადის გასვლამდეც, მხოლოდ ამ მხრივ უწინარეს დათხოვნისა სენატს უნდა მოურიგდეს და იგიც დაითანხმოს. თუ დაითხოვა, ახალი არჩევანები უნდა დაინიშნოს დათხოვნიდგან ორის თვის შემდეგ, არა უგვიანეს, და ახლად არჩეულნი არჩევანს შემდეგ ათს დღეზედ უგვიანეს არ უნდა შეიკრიბნენ.

სესსიის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისს მიწერილობას პარლამენტს მინისტრების შემწეობით უგზავნის, თუმცა შეუძლიან პარლამენტს პირდაპირაც გაესაუბროს. ხოლო ასეთი გამოსაუბრება, ასეთი მისი მიწერილობა მინისტრის მიერ დამტკიცებული და სამინისტროს ერთ-ერთის წევრის მიერ უნდა იქმნას საჯაროდ წაკითხული. პრეზიდენტს, სენატორებსა და დეპუტატებსავით, შეუძლიან სასურველად დაინახოს რომელისამე მის მიერ წინადადებულის კანონის შემოღების საჭიროება და ეს იმისი კანონ-პროექტი პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს და განსაჯოს.

საყურადღებო თვისება საფრანგეთის კონსტიტუციისა ის არის, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ ამტკიცებს კანონს, თუ იგი პარლამენტის და სენატის-მიერ შეწყნარებული არ იქნება და ვერც შეაჩერებს, ვერც უარჰყოფს ასეთს კანონს. იგი მხოლოდ საჯაროდ აცხადებს კანონს და კონსტიტუცია ავალებს, რომ ერთის თვის განმავლობაში გამოაცხადოს, ხოლო ზოგიერთს შემთხვევაში-კი სამის დღის შემდეგაც, მას უკან, რაკი შეწყნარებული კანონ-პროექტი მთავრობას გადაეცემა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტს შეუძლიან მოითხოვოს, რომ ხელ-მეორედ იქმნას განხილული იგი კანონი და პარლამენტი და სენატი ვალდებულნი არიან აღასრულონ ეს მოთხოვნილება პრეზიდენტისა; თუ, ამისდა მიუხედავად, კანონ-პროექტი ხლ-მეორედაც შეწყნარებულ იქმნა, პრეზიდენტმა უნდა გამოაქვეყნოს იგი. აი, ეს არის მოვალეობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა.

აქ ნათქვამს უნდა დავსძინოთ, რომ პრეზიდენტს განკერძოებული უფლება აქვს მინიჭებული პატიებისა. 1871 წლის 16 სექტემბრის კანონით, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯამაგირად დანიშნული აქვს წელიწადში 1.200,000 ფრანკი, (Бусск. Вѣд“.)

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საფრანგეთის მწერლის ზოლას ახალს რომანს სახელად „რომი“ ეწოდება. ზოლა შეუდგება ამ რომანის წერას მალიან მოკლე დროში. „Pays“-ის თანამშრომლის სიტყვით, ავტორს აზრათ აქვს დაასურათოს ბრძოლა მკვლევსიისა ახლად გამოფხიზლებულ ხალხის შეგნებასთან. იგი ასწერს ყოველ იმ ღონისძიებათ, რომელთაც ჰხმარობს მკვლესაა მისათვის, რომ როგორმე შეათანხმოს თავისი დაძველებული რწმუნებანი თანამედროვე პოლიტიკურ და მეცნიერულ მოძრაობას. ეს რომანი ზოლას სიტყვით თავის-თავად გამოსახავს გვამის ზნ-ზოთა ბრძოლისას ჟრუტ სამწუხაროსთან.

მთელის საუკუნის განმავლობაში.

**

ფრანკ-ფურტის ახლოს, ქალაქ შვანცეიმში, როგორც პარიზული ერთი გაზეთი იუწყება, საშინელი ალიაქოთი ხდება. ყოველ დილით ახალგაზდა ქალიშვილები, ახლად დანიშნულები და ახლად გათხოვილები, გაიღვიძებენ თუ არა, ნახვენ, რომ მათ თმები აქვთ შეკრეჭილი!.. ჯერ იმას ჰფიქრობდნენ, რომ ახალგაზდა ქალების თმების კრეჭას დაფარულნი ზოროტ-მოქმედნი შედგომოდნენ. ახლა-კი საქმე გამოირკვა. უწინარეს თმები შეეკრეჭათ მეუავახნის ორს ქალიშვილს. შემდეგ კიდევ ორს მეზობლის ქალიშვილს. დააარსეს ზედამხედველობა და აღმოჩნდა, რომ ქალიშვილები თვითვე იჭრიდნენ თმებს რაღაც უცნაური ავადმყოფობის მოთხოვნილებისა გამო, რომელიც საშინლად გავრცელდა ქალებთა შორის და რომელსაც ექიმებმა განსაკუთრებული ნერვონიული ჭირი დაარქვეს.

## გასართობი

—

სახელ განთქმულს კარდინალს ბერნის, როდესაც ჯერ ისევ აბატად იყო, რაღაც დანაშაულის გამო მეტად გაუწყრა მაშინდელი პირველი მინისტრი, კარდანალი ფლერი, დაიბარა თავისთან ბერნი და უთხრა:

— ვიდრე მე ცოცხალი ვარ, სამსახურში წარმატების იმედი ნუ გექნებათ.

— მოწყალეო ხენმწიფევ, მიუგო თავის დაკვრით ბერნიმ, მოთმინებას მრვიკრებ და შევიცდი მაგ დრომდისაო.

**

ერთმა მეორე გამოითხოვა ხმალში რაღაც შეურაცხყოფისა გამო, მაგრამ გამოთხოვილმა უარი სთქვა.

— თუ არ გამოხვალთ ჩემთან საბრძოლველად, გაზეთებში გამოვაცხადებ თქვენს სახელს და ამბავსაო, უთხრა გაბრაზებულმა შეურაცხყოფილმა ამ თავ მომწონე ყმაწვილს.

— თქვენი ნება იყოს! მე ის მირჩევნია ისევ რამდენსამე გაზეთში ვიყო მოთავსებული, ვიდრე ერთს კუბოშიო.

### პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,49 | 7,51 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^{1}/_{4}$ | 150 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $224^{1}/_{2}$ |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | $189^{1}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6⁰/₀. | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |



# განცხადებანი

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—9)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, —$11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი; შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

კ. ი. ფრანცუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

### მიმიღებ ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ვხატავ ფაიფურზე და ატლასზე. პორტრეტი პორტფელზე—10 შაური.

აგრეთვე მაქვს თამარ მეფის სურათი ატლასზედ დახატული ბალიშისთვის—3 მ., ლამპარის აბაჟური ექვსის ცნობილ ქართველ მწერლის სურათით 3 მ., აბრეშუმის ხელსახოცები მწერალთა სურათებით: 3 აბაზი 1 მ., ვისაც სურს თავისი სურათი დავახატვინოს ამგვარს საგნებზედ, შეუძლია მობრძანდეს სურათის გადასაღებად ან სურათი გამოგვიგზავნონ.

ვისაც ფოტოგრაფიის შესწავლა სურს, ქალსაც და კაცსაც, შეუძლია მომმართონ ამ ადრესით: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36, ქ-ნს ა. ბ. როდიონოვს.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

# ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

ვ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—19)

# დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ჭერქვსს შაურად და ორ კაპეიკად 32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც იპყრობს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, უხსნის მასწავლებელს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—4)

## სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოძრაობაში მოჰყავთ.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით მეტი სიმაგრე და ძალა აქვს; ბია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

## „ნევის კაპრიზები“

დუხები—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“

ოდეკოლონი—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“

საპონი—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ჭ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება.

აქის და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—47)



Дозволено цензурою Тифлисъ, 22-го Іюня 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.